




სიცოცხლის დაზღვევის პირობები NBB/HI-002

შენიშვნა: აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაზღვევის პირობების შესახებ არასრულ ინფორმაციას. საინფორმაციო ფურცელი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე და მისი გაცნობა და სადაზღვევო კომპანიის მიერ მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს მხარეთა შორის.

- მზღვეველი: სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ (ს/კ 205023856)
მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ. #88/15
- მოსარგებლე: სს „ბაზისბანკი“ (ს/კ 203841833)
- დაზღვევის ხელშეკრულების სახე: სიცოცხლის დაზღვევა
- ფინანსური ხარჯი სადაზღვევო პრემიის გარდა: არ არის გათვალისწინებული
- სადაზღვევო თანხა: სს „ბაზისბანკის“ მიერ დაზღვეულისათვის ოფსეტური იპოთეკური ან სამომხმარებლო სესხის ფარგლებში თავდაპირველად დამტკიცებული სესხის თანხის ექვივალენტი. სადაზღვევო თანხა ექვემდებარება შემცირებას, სესხის ძირის კლების პარალელურად და შესაბამისად უნდა მოხდეს პრემიის ყოველთვიური გადაანგარიშება
- ანაზღაურებას ექვემდებარება (სადაზღვევო რისკები):
 - დაზღვეული პირის გარდაცვალება ნებისმიერი ბუნებრივი მიზეზით;
 - დაზღვეული პირის გარდაცვალება, გამოწვეული უბედური შემთხვევით;
 - დაზღვეული პირის სრული მუდმივი ქმედუნარობის დადგომა, რომელიც გამოწვეულია უბედური შემთხვევით.
- ანაზღაურებას არ ექვემდებარება (გამონაკლისები):
 - დაზღვევიდან პირველი 3 (სამი) თვე მოცდის პერიოდი კრიტიკულ დაავადებებზე.
 - ომით, დაპყრობით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად ომის გამოცხადებისა თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, გაფიცვით, ნებისმიერი პირის ქმედებით, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს De Jure ან De Facto ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;
 - მაიონიზირებელი გამოსხივებით, გარემოს რადიაქტიური დაბინძურებით, ბირთვული საწვავის აალებით;
 - მსესხებლის ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნით;
 - თუ მსესხებელი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას და ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას ან თუ მსესხებლის მიერ მიღებული ალკოჰოლის ზემოქმედებამ გამოიწვია არსებული დაავადების გამწვავება, რაც გახდა მსესხებლის გარდაცვალების მიზეზი;

- o მსესხებლის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით, განზრახ თვითდაზიანებით;
- o მსესხებლის მკვლელობით, მკვლელობის მცდელობით ან სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანებით, რომლის პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილედ გვევლინება დამზღვევი ან/და სესხის სხვა მსესხებლები ან/და მსესხებლის მემკვიდრეები;
- o მსესხებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით ან მისი ჩადენის მცდელობით;
- o მსესხებლის შიდსით ან HIV-ით ინფიცირებით;
- o მსესხებლის ფსიქიკური ავადმყოფობით ან გონების დაზიანებით;
- o მსესხებლის მონაწილეობით სამხედრო ან საპოლიციო ოპერაციის ჩატარებაში;
- o მსესხებლის მონაწილეობით სიჩქარეზე შეჯიბრში ნებისმიერი სახმელეთო, საჰაერო ან საწყალოსნო საშუალებების გამოყენებით;
- o მსესხებლის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;
- o მსესხებლის მიერ სანადღოს პირობების შესრულებით, აკრობატული ილეთების შესრულებით, რეკორდის დამყარებით ან ამის მცდელობით;
- o მსესხებლის მონაწილეობით პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);
- o მსესხებლის მონაწილეობით შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგიო ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია;
- o მოცდის პერიოდში მსესხებლის მძიმე დაავადებ(ებ)ით გარდაცვალებით.

შენიშვნა 1: მძიმე დაავადება - ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლის ფიბროზი ან ციროზი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ჰეპატიტი C, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, გულის ქრონიკული უკმარისობა, გულის თანდაყოლილი ანომალიები, შაქრიანი დიაბეტი ან მისი გართულება, უშაქრო დიაბეტი ან მისი გართულება, ცერებროვასკულარული დაავადებები (გარდა ინსულტის პირველადი შემთხვევისა). აღნიშნულ დაავადებათა ჯგუფში შემავალი დაავადებები განისაზღვრება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მეათე გადახედვის მიხედვით;

შენიშვნა 2: პირველი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის გადახდამდე ან/და საკრედიტო პორტფელის კონკრეტული ნაწილისთვის შესაბამისი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის გადახდამდე (მათ შორის გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში) დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას.

აგრეთვე:

- მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად წარმოსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- მსესხებლის გარდაცვალების მოწმობა;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი, ცნობა მსესხებლის გარდაცვალების შესახებ - ფორმა N106ს-4, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მსესხებლის გარდაცვალების კონკრეტული დადგენილი მიზეზი, გარდაცვალების თარიღი, ადგილი და მსესხებლის ასაკი;
- თუ ზემოთ აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული ცნობა არ შეიცავს ამავე პუნქტში მითითებულ ინფორმაციას, დამატებით, წარმოდგენილ უნდა იქნას ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული იქნება აღნიშნული ინფორმაცია;
- უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, დამატებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- თუ მსესხებლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დამატებით ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ და მსესხებლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);
- მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე იღებს გადაწყვეტილებას ყველა აუცილებელი დოკუმენტის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში; ან აცნობებს გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი ვადის, მაგრამ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღისა, საჭიროების შესახებ შესაბამისი ობიექტური გარემოების მითითებით;
- იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი განსაზღვრულ დამატებით ვადაში ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურებაზე, ჩაითვლება რომ მზღვეველმა მიიღო დადებითი გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე.
- სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა უნდა მოხდეს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დამზღვევის ინფორმირებიდან არაუგვიანეს 10
- (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

- o ამასთან მსესხებლის გარდაცვალების რისკზე სადაზღვევო შემთხვევა, რომლის ასანაზღაურებლად გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება არ აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში), გაცივმა დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის მხოლოდ მსესხებლის გარდაცვალების მოწმობის წარდგენის საფუძველზე.
- o მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დამზღვევს უნდა წარუდგინოს დასაბუთებული უარი წერილობითი ფორმით.
- o იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არს სრული ან/და ხარვეზიანია, მზღვეველი დამზღვევს განუსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა და არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, რომელთან დაკავშირებითაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მზღვეველის მიერ დაწესებული ვადის განმავლობაში არ შეწყვეტილა გამოძიება ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება), ხარვეზის გამოსასწორებლად და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარსადგენად.

➤ პრეტენზიის წარდგენა

სადაზღვევო მომსახურების შესახებ წარმოქმნილი პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია:

- o ქოლ-ცენტრთან დაკავშირების გზით ნომერზე: +995 32 2949 949;
- o წერილობითი განაცხადით მისამართებზე:
 - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. #88/15
 - ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #35/31
 - ქ. ქუთაისი, წმ. ნინოს ქ. #1/38
 - ქ. თელავი, ალ. ვარდოშვილის ქ. #22
 - ქ. ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. #15
 - ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. #64
 - ქ. მარნეული, გიორგაძის ქ. #1
- o ელექტრონულად ელ. ფოსტაზე: quality@irao.ge

პრეტენზიის განხილვა მოხდება მომსახურების ხარისხის და კლიენტების კმაყოფილების მართვის სამსახურის მიერ, წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მომხმარებლებისთვის შემოსულ პრეტენზიებზე პასუხის მიწოდება ხორციელდება შემოსვლის წყაროს იდენტიურად ან მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული მოთხოვნის შესაბამისად (სატელეფონოდ, წერილობით, ელ. ფოსტაზე).

მომხმარებლებს საშუალება აქვთ, შემოსვლის წყაროს მიუხედავად, მოითხოვონ ოფიციალური წერილობითი პასუხი.

➤ მზღვეველის საზედამხებდევლო ორგანო

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებდევლობის სამსახური

მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

ტელ: +995 32 223 44 10

ვებგვერდი: www.insurance.gov.ge